საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 97

ქ. ბათუმი 28 ოქტომბერი, 2016 წ.

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს მისიისა და სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნას აკადემიური, ადმინისტრაციული და სტუდენტთა წარმომადგენლობით სამუშაო ჯგუფი.
2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს არსებული მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის გაანალიზება, ნაკლოვანებებისა და გამოწვევების გამოკვეთა, მათი გათვალისწინებით ახალი მისიისა და სამოქმედო გეგმის პროექტების შემუშავება.
3. ახალი მისიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები საჯარო განხილვის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. სამუშაო ჯგუფის მიერ გადამუშავებული იქნეს საჯარო განხილვის საფუძველზე მიღებული წინადადებები და პროექტების საბოლოო ვერსია დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს.
5. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს.
6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**